ხაშურის მოამბე

№33 (234) 26 აგვისტო, ორშაბათი, 2019 წელი

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვედნენ

აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი სამხარეო ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ოსიაურში, ახალსოფელსა და სატივეში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი საჭიროებები მოისმინეს.

მოქალაქეებს შეხვდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში გიორგი ხოჯევანიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფიო კილაძე, შოთა ხაბარელი და სიმონ ნოზაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და მერიისა და საკრებულოს სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრაზე დეტალურად იმსჯელეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის ერთობლივი გზებიც დასახეს. შეხვედრის ფარგლებში შეფასდა უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიც.

შეხვედრის მონაწილე მოქალაქეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს იმ პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს და მათში თითოეული მოქალაქის ჩართულობისა და სარგებლის მიღების მექანიზმებიც განიხილეს.

ოსიაურის მოსახლეობამ პირველ საჭიროებად წყლისა და კანალიზაციის პრობლემა დაასახელა, ახალსოფელში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გზის მოწესრიგება მოითხოვეს, სატივეში კი პრიორიტეტად წყლისა და გზის მოწესრიგების საკითხები გამოიყო.

მოსახლეობასთან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება.

მიწობში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ მიწობში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის განხორციელება, ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტად მიიჩნია.

სასმელი წყლის სისტემა ჯამში 20 000 ლარით ფინანსდება, აქედან 12 000 სახელმწიფო, ხოლო 8000 ადგილობრივი ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი.

19 აგვისტოს, სოფელ მიწობში იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, პროექტით 300-ზე მეტი ადამიანი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

დაათვალიერეს „ივერიის" სტადიონის მშენებლობა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხაშურში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობას ახორციელებს. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 6.1 მილიონი ლარია.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი შენგელია და ხაშურის მერი, გიორგი გურასპაშვილი ადგილზე გაეცნენ.

სამუშაოს ფარგლებში, ტერიტორიაზე განთავსდება ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი განათებითა და სარწყავი სისტემით. ასევე, მოეწყობა ტრიბუნები და დია ავტოსადგომი, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება დამხმარე შენობა-ნაგებობები. პროექტი, ასევე ითვალისწინებს საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობას.

პროექტის განხორციელება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი

ალექსანდრე ჩიქოვანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთის რედაქციის თანამშრომლები უერთდებიან სამძიმარს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აღნიშნული ფაქტის გამო.

ხაშურის რეფერალური საავადმყოფო პაციენტებს განახლებული აპარატურით და ახალი სერვისებით ხვდება

გასულ თვეს, ხაშურში, განახლებული რეფერალური ჰოსპიტალი გაიხსნა, რომელიც ხაშურის მოსახლეობას მრავალპროფილურ ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისებს სთავაზობს. განახლებულ კლინიკაში, ცხადია, ჩვენც ვიმყოფებოდით და შპს ,,ახალი კლინიკის" დირექტორთან **კახა ხელაძესთან** ვისაუბრეთ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ახალ სერვისებსა და საავადმყოფოში დანერგილ მნიშვნელოვან რეფორმებზე, რომლებიც მკვეთრად შეცვლის ხაშურში სამედიცინო მომსახურების სფეროს. ბატონმა კახამ გაგვიწია გიდობა და თავადვე დაგვათვალიერებინა რეაბილიტირებული კლინიკა. ცვლილებები მართლაც სახეზეა, საქმე ეხება როგორც განყოფილებების სრულ რეფორმაციას, აგრეთვე, მაღალტექნოლოგიურ დანადგარებს. როგორც კლინიკის დირექტორმა საუბარში აღნიშნა, გადამზადებას გადის მომსახურე პერსონალიც, შესაბამისად, საავადმყოფოც მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდება. უფრო ვრცლად, მიმდინარე სიახლეებზე, ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ბატონო კახა, შესანიშნავი მდგომარეობაა, კლინიკა მთლიანადაა სახეცვლილი, მოგვიყევით სარებილიტაციო სამუშაოების შესახებ?

– დამეთანხმებით, რომ მედიცინა თავისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, მუდმივ განახლებას საჭიროებს, როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ადამიანური რესურსებით. როდესაც კლინიკა გაერთიანდა „ევექსის“ კორპორაციულ ქსელში, დავგეგმეთ მისი გაუმჯობესება, ამასთან, შევიმუშავეთ სერვისების უფრო რაციონალურად მიწოდების სქემა, რომელიც ხარისხზე უნდა ყოფილიყო აქცენტირებული. გავითვალისწინეთ, აქვე, 2020 წლისთვის სახელმწიფო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილი ახალი სტანდარტები, რომელიც უფრო გამკაცრებულია და პაციენტზეა ორიენტირებული, ამდენად, ამ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს არ ითვალისწინებდა, ამ მოთხოვნებს სრულებით დავაკმაყოფილებთ.

- რა სერვისების შეთავაზება შეუძლია კლინიკას ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და არა მარტო?

– დღევანდელი მდგომარეობით, კლინიკა გათვლილია 60 საწოლზე, მოიცავს რამდენიმე ბაზისური რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებს. აგრეთვე, ქირურგიულ დეპარტამენტს, რომელიც, ზოგად, ქირურგიას აღარ მოიაზრებს. ჩვენ მანამდეც გვქონდა წამოწყებული

სხვა ქირურგიული დარგების განვითარება, როგორებიცაა: ანგიოქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია, პროქტოლოგია, მაგრამ აქამდე, შედარებით მოიკოჭლებდა ტრავმატოლოგიური განყოფილება, მეტწილად, უფრო შემოფარგლული იყო ამბოლატორიული მომსახურებით, დღესდღეობით, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, კლინიკას ემსახურება მოწვეული ტრავმატოლოგი თბილისიდან, წამყვანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

- ბატონო კახა, კლინიკაში რომელმა განყოფილებამ განიცადა წინა წლებთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები?

– „ევექსის“ კორპორაციასთან შერწყმის შემდგომ, ჩვენი მთავარი მიზანი ხარისხზე ორიენტირებულობა გახდა. ჩვენ მოვიცავით თითქმის ყველა განყოფილება და მაღალი სტანდარტები დავაწესეთ მის მუშობაში. მაგალითად, გაცილებით ოპტიმიზირებული გვაქვს წინა ვარიანტთან შედარებით, სამშობიარო განყოფილება. ჩვენ, სამნეო ბლოკი, შესაბამისობაში მოვიყვანეთ ახალ სტანდარტულ ნორმებთან.

- რამდენად მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექსებული კლინიკა?

– როგოროც აღვნიშნე, გყვავს როგორც ადგილობრივი, აგრეთვე მოწვეული სპეციალისტები. „ევექსის“ კორპორაციასთან შეერთება, იმის მანიშნებელია, რომ შესანიშნავი გუნდი გვიმაგრებს ზურგს. გვაქვს შესაძლებლობა, არამხოლოდ მოვიწვიოთ ექიმები, არამედ „ევექსის“ დაქვემდებარებული სხვა კლინიკები გამოვიყენოთ ჩვენ გადასამზადებელ ბაზებად. უკვე ვიყენებთ კიდეც, ჩვენი ექიმების უმეტესობა, პარალელურ რეჟიმში, გადამზადების კურსს გადიან. სხვა მხრივ, საამაყოა ჩვენი ქირურგიული განყოფილების სპეციალისტთა მაღალი პროფესიონალიზმი.

- როგორც კლინიკის გახსნისას ჩვენთვის გახდა ცნობილი, კლინიკაში სრულიად ახალი დანადგარები შემოიტანეთ?

– დიახ, ასეა. სრულიად ახალი აპარატურა გვაქვს რენტგენის მიმართულებით, როგორც სტაციონარული, ისე პორტატული. საერთო ჯამში, რადიოლოგიური ბლოკი მთლიანად შეიცვალა. განხორციელების პროცესშია კარდიოინტერვენციის განყოფილების დამატება.

- ბატონო კახა, არსებობენ პაციენტები ისეთი ჯანმრთელობის მდგომარეობით, რომელთათვისაც კლინიკას სერვისის გაწევა არ შეეძლება?

– არსებობს ქვეყანაში რეფერირების სქემა, სხვადასხვა დონის კლინიკებიდან თუ როგორ იმოძრაოს კრიტიკულმა პაციენტმა, თუმცა ჩვენ გვაქვს ჯანსაღი პრეტენზია იმისა, რომ ჩვენ გავხდეთ მიმღები კლინიკა ჩვენი მეზობელი რეგიონებისაც. თუმცა, დავსძენ იმისაც, რომ შესაძლოა პაციენტში გამოვლინდეს ისეთი პათოლოგიები, რომლებიც უფრო მაღალ ტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებას საჭიროებს.

- თვლით, რომ ხაშურში კონკურენტული გარემოა სამედიცინო მომსახურების კუთხით?

– მოგეხსენებთ, როდესაც ჯანსაღი კონკურენტული გარემოა, ცხადია თითოეული სერვისის მიმწოდებელი მობილიზებულია, რომ უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. ჩვენც ვცდილობთ არჩეული გეზი არ შევცვალოთ. როდესაც ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოვედით, ჩვენ არ ვუშვებდით შესაძლებლობას, რომ მუშაობას გავაგრძელებდით ძველი ფორმატით, ეს ეხება როგორც ხაშურს, ასევე ქარელსაც. მიზნად დავისახეთ სრული რეორგანიზაცია. როდესაც ერთ ადგილზე დგახარ, მომენტალურად იწყება რეგრესი, ამას მაქსიმალურად ვითვალისწინებთ.

- კლინიკას აქვს განახლებული ლაბორატორიაც?

– დიახ, ჩვენ ადგილობრივი ლაბორატორიაც ვუზრუნველვყავით, ახალი ტექნოლოგიებით და ინფრასტრუქტურულად გავმართეთ. „მეგალაბი", რეგიონში პირველი მულტიპროფილური ლაბორატორიაა და მასთან ერთად საქართველოში ჯანდაცვის ჯგუფის კოალიციაში გაწერიანებუ-

ლია „ევექსის“ ქსელიც. ჩვენ გამოვიყენეთ ეს ურთიერთობები, ყველა იმ რეგიონში, სადაც „ევექსია“ წარმოდგენილი, ყველგან შევქმენით პრეცენდენტი, რომ „მეგალაბის“ სერვისი გამოყენებული იქნას ადგილიდანვე. პაციენტებს ჩვენივე ლაბორანტები მოემსახურებიან, შესთავაზებენ გეგმიურ სერვისებს. ფაქტობრივად, არ არსებობს არცერთი ანალიზი, რომლის გაკეთების შესაძლებლობასაც „მეგალაბი“ არ მოგვცემს, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმ ანალიზებს, რომლებიც საქართველოს მასშტაბით საერთოდ არ ტარდება.

- როგორც ვიცით, დღეს, მოწვეული სპეციალისტები კვლევებს ატარებენ კლინიკაში..(ინტერვიუ ჩაწერილია 16.08.19-ში)

– დიახ, ასეა. დღეს, ჩვენს კლინიკაში, ოთხი მიმართულების მოწვეული სპეციალისტი გვესტუმრა. ჩატარდება: ძუძუს, საშვილოსნოს და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების სკირინინგი, აგრეთვე, კანის პათოლოგიური წარმონაქმნების დიაგნოსტიკა. აღნიშნული სერვისები არაა ერთჯერადი და მუდმივად გაგრძელდება. აქვე დავამატებ, რომ მასტექტომია აქამდე არ ჩატარებულა და ამის პრეცენდენტიც პირველად შევქმენით.

თინა ახალკაცი

პოლიტიკური ცუნდრუკი, რომელიც მალე კუნტრუშში გადაიზრდება

ჩემი ცხოვრების თითქმის რვა ათწლეულში, ჩვენს ქვეყანაში, მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა. დროის ყველა მონაკვეთში, ზოგი ქამარს იჭერდა-შიმშილით გაძვალტყავებულს შარვალი არ ჩამძვრესო, ზოგი კი –ნაყროვანებისგან მუცელი არ გამისკდესო.

ძალიან გულღრძო უნდა იყოს ადამიანი, რომ ხელისუფლებას მტრობდეს ქვეყანაში ცალკეული პრობლემების არსებობის გამო. ვინმემ ამიხსნას, რომელი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ისეა აწყობილი ცხოვრება, როგორიც იმ ქვეყნის მოქალაქის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, რომელი ქვეყანაა, სადაც დანაშაული არ ხდება?

ჩვენ, ქართველები, სხვა ერებთან შედარებით, უფრო ემოციური ხალხი ვართ, რისი გამოხატულებაც, მალე, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამოჩნდება.

სამწუხაროდ, ზოგიერთები ემოციურობას და ჯიუტობას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ და ერთხელ თეთრზე თუ წამოცდათ შავიაო, ამას ძნელად თუ გადაათქმევინებ.

ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა პოლიტიკურმა ცუნდრუკმა, რომელიც შეიმჩნევა ცალკეულ პიროვნებათა და დაჯგუფებათა შორის.

რა სჯობია დემოკრატიულ, თავისუფალ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ცხოვრებას, მაგრამ ქვეყანაში, რომლის პარლამენტშიც 150 მანდატია და მის მოსაპოვებლად შესაძლოა ორასზე მეტმა პარტიამ და ე.წ დაჯგუფებამ იბრძოლოს, არა მგონია, ადვილი იყოს კონკრეტულ საკითხებზე კონსესუსის მიღწევა.

არ მინდა, რომ პარლამენტი სალაყბო მოედანს დაემსგავსოს.

წარმოიდგინეთ, 200 პარტიის წინასაარჩევნო ცუნდრუკი და სხვადასხვა ეტაპებზე კუნტრუში, როცა ანგარიშმიუცემლად ხტიან აქეთ-იქით, პარტიიდან პარტიაში, მოძრაობიდან მოძრაობაში, ცურავენ შეპირებათა ზღვაში, ყველას ჰგონია, რომ მისი მიმართულებაა ჭეშმარიტი, რომ ის ყველაზე ჭკვიანია და გადაარჩენს, ააყვავებს სამშობლოს, რომ ჩვენ ქვეყანას გადააქცევს ბიბლიური ედემის ბაღად და ა.შ.

მოკუნტრუშეთა ნაწილი მიაღწევს ფინიშამდე და ღობეზე შეფრენილი მამალივით დაიწყებს თავმომწონეობას, მას გარს შემოეხვევიან მედროვენი, რომლებსაც არ შერცხვებათ შავის თეთრად გასაღების მცდელობისა.

თანამდებობრივი სკამის დაკავების სრვილით შეპყრობილნი იკადრებენ და შეურაცხყოფას მიაყენებენ ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებულ ადამიანებს, შეეცდებიან წყალში ჩაყარონ მათი შრომა და დაადანაშაულონ ყოველგვარ უკეთურობაში, თითქოს მათი ბრალია, რომ მთვრალ მძღოლს ავტოავარია მოუვიდა, ქმარმა ცოლს შეურაცხყოფა მიაყენა იმის გამო, რომ ცივი საჭმელი მიუტანა და არა-ცხელი. თითქოს ხელისუფლების ბრალია, რომ გვალვაა ან წყალდიდობა, მეწყერი ან ზვავი ჩამოწვა და ა.შ.

ასეა, პოლიტიკური ცუნდრუკ-კუნტრუშით აღწევენ ისინი ტელეეკრანებამდე, საიდანაც ხშირად გონებას უწამლავენ მომავალ თაობებს. თავისუფლების ეგიდით ლამის შიშვლად სიარული უქადაგონ მათ. ცდილობენ, მომავალ თაობაში ჩააქრონ, სამშობლოს სიყვარული, მისადმი ერთგულებისა და თავგანწირვის გრძნობა, სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოკუნტრუშე მოზვრები სწორ ხნულს ვერ გაავლებენ, გაუხედნავი ხარების უღელ-ურემში შებმა გარდაუვალ მარცხს გამოიწვევს.

სოფლის მცხოვრებლებმა კარგად იციან მსხვილფეხა საქონლის ასაკის მიხედვით ქცევის წესები. ხბოობის ასაკში ისინი კუნტრუშობენ და წიხლებს ჰაერში ისვრიან, დაახლოებით ორი წლისანი გახედვნას ეჩვევიან, შემდეგ კი, უღელში შებმულნი, დინჯად ეგუებიან და ეწევიან შრომას და ადვილად ემორჩილებიან პატრონის მოთხოვნებს.

ადამიანებიც ასე თანდათანობით უნდა ეჩვეოდნენ ქვეყნის მართვის ხელოვნებას, ახლგაზრდები ხელმძღვანელი თანამდებობის სკამზე კუნტრუშით კი არ უნდა ხტებოდნენ, არამედ ცხოვრებისეულად უნდა იზრდებოდნენ, მან აუცილებლად უნდა წაიმუშაოს უმდაბლეს რგოლში, განყოფილების, სამმართველოს, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის და უფროსის თანამდებობებზე, ამის შემდეგ, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ მინისტრის მოადგილის რანგში და მინისტრის თანამდებობებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ყალიბდება როგორც ყოყლოჩინა ხელმძღვანელი და განწირულია კარიერის სამარცხვინო დამთავრებისათვის.

კადრების შერჩევაში დაშვებული შეცდომების ბრალია, რომ ქვეყანა გაივსო ნამინისტრალი ახალგაზრდებით. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მომიტინგე ახალგაზრდებისა და მაღალფარდოვანი სიტყვების მობრახუნეთაგან უმრავლესობა საკუთარი კარიერის მოსაპოვებლად იბრძვის. თანამდებობაზე მოხვედრის სურვილის გზაზე, არ ერიდება სხვისი ღირსების შელახვას, უნდა, რომ მიწასთან გაასწოროს ყველა და ყველაფერი, რაც მის მისწრაფებებს ეწინააღმდეგება.

მოკუნტრუშე პოლიტიკოსები, რომლებსაც თითი თითზე არ დაუდიათ ქვეყნის განვითარებისათვის, ისე ლანძღავენ დამსახურებულ თანამოქალაქეებს, რომ იფიქრებ, ეს მკვდრეთით აღმდგარი ის ხალხია, რომლებიც სვეტიცხოველის ამშენებელს ხელი მოაჭრეს და ახლა თბილისის სამების ტაძრის აღმშენებლის თავის მოჭრა აქვთ განზრახულიო. უმადურობა და ასეთი?

მე, პენსიონერი, 80 წელს მიტანებული კაცი ვარ, მზე და მთვარე არც არავიზე ამომდიოდა და არც არავიზე ამომდის. ჩემი თაობის ცხოვრება ბევრმა ხელმძღვანელმა სამოთხედაც აქცია და ჯოჯოხეთადაც. მე საზოგადოების ნაწილი ვიყავი და ჩემი წილი ავ-კარგიანობის ტვირთი მოთმინებით ვზიდე რთულ გზაზე, მითუმეტეს, ახლა არ მჭირდება ვინმესადმი ლაქუცი. ჩემი მოქალაქეობრივი ვალი არ მაძლევს სიჩუმის უფლებას და მიბიძგებს კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენებისაკენ, რომ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება საჭირბოროტო საკითხებისადმი.

პოლიტიკურ მოცუნდრუკეობა-მოკუნტრუშეობად ვაფასებ ჩვენს დედაქალაქში ამა წლის ივნისში განვითარებულ მოვლენებს, როცა მთავრობის შეფასებით, გულანთებულ ახალგაზრდებს მიეტმასნენ გულღრძო ვაიპატრიოტები და ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც შეეცადნენ მიტინგისათვის მიეცათ სულ სხვა მიმართულება, რასაც მიაღწიეს კიდეც. მათ დღესაც არ ადარდებთ რა ზიანი მიიღო ჩვენმა ქვეყანამ მომხდარი მოვლენების გამო.

ავანტიურისტებმა შეძლეს იქ დამსწრე მოქალაქეთა დიდი ნაწილის აცუნდრუკება და მოინდომეს პარლამენტის შენობაში შეჭრა ცარიელი ხელებით და ბოღმით სავსე გულით. აქ უკვე ამოქმედდა ხბოების კუნტრუშის ინსტინქტი, როცა წინააღმდეგობას ვერ ამჩნევენ, ან უაზროდ ცდილობენ მის გადალახვას, რა დროსაც, მას შეიძლება შეასკდნენ და წინაღობაც დააზიანონ.

აქვე ისმის კითხვა: თუ პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე რამდენიმე წუთით მტრულად განწყობილი პიროვნების დაჯდომა ქვეყნის დამცირება-დაქცევას გამოიწვევდა, რა შედეგს გამოიღებდა პარლამენტის შენობაში ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი მოქალაქეთა შეჭრა?

ახალგაზრდებს თუ არ ახსოვთ, შევახსენებ, რომ ცარიელი ხელებით კი არა, ვარდებით ხელდამშვენებული ხალხი შეიჭრა პარლამენტის შენობაში, შევარდნაძის ხელისუფლება დაამხეს და ამ პოლიტიკურ გადატრიალებას ვარდების რევოლუცია უწოდეს, უმაღლესი თანამდებობები დაინაწილეს და ცხრა წლის განმავლობაში, ცოდვა-მადლის ბორბალი დაატრიალეს.

სახელმწიფოს სათანადო ორგანოებმა, რომელთა ფუნქციებში იმ დროს შედიოდა პარლამენტის შენობის დაცვა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოკუნტრუშეებს არ მისცეს შენობაში შეჭრის საშუალება, რამაც გამოიწვია პოლიციის თანამშრომელთა და მათი ურთიერთწინააღმდეგობის გაწვა.

ამ შტურმს არაფერი საერთო არ ჰქონდა იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც პროტესტს გამოხატავდნენ პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე უწმინდურის წამოსკუპების გამო.

ისმის კითხვები:

1. აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება ძალის გამოყენებით ან სხვა ხერხებით შეაღწიოს დაცულ ობიექტებში?
2. აქვს თუ არა უფლება ობიექტის დამცველ პირს წინ აღუდგეს ობიექტში ძალისმიერი ან სხვა მეთოდებით შეღწევის მსურველს?
3. თუ პოლიტიკური მოცუნდრუკე-მოკუნტრუშე პირები შეაღწევენ პარლამენტის შენობაში, როგორ განვითარდება მოვლენები შემდეგში?
4. როგორი შეფასება მიეცემოდა პოლიციის მოქმედებას, თუ ისინი არ გამოიყენებდნენ იმ თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებებს, რომლითაც ისინი სახელმწიფოს მიერ არიან აღჭურვილნი და კანონით აქვთ უფლება-ვალდებულება საჭიროების და უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყენონ იგი.
5. თუ ძალოვანი სტრუქტურების სამსახურებს არ შეუძლიათ იარაღისა და სხვა სპეცსაშუალებების გამოყენება, რა საჭიროა ასეთი შეიარაღებით მათი აღჭურვა?
6. უნდა მოიგერიოს თუ არა საგუშაგოზე მდგომმა პოლიციელმა მოწინააღმდეგე, რომელიც ცდილობს პოლიციელი ჩამოაშოროს დავალების შესრულების საშუალებებს და შესაძლებლობებს?

7. როგორ შეაფასებდა ხალხი შს სამინისტროს და პირადად მინისტრის მოქმედებას, თუ შესაძლებელი გახდებოდა სახელწიფოს კიდევ ერთხელ ძალისმიერი გადატრიალება?
8. რა დონის და ზომის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს თუ ის ვერ უზრუნველყოფდა პარლამენტის შენობის შტურმით აღების და ხალხისმიერ არჩეული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის მცდელობას?
9. ის ადამიანები, რომლებიც პოლიციის მიერ ძალის გადამეტებაზე ლაპარაკობენ, იცნობენ თუ არა კანონმდებლობას პოლიციის შესახებ და ამ კანონმდებლობიდან გამომდინარე, ინსტრუქციებს და ბრძანებებს, სადაც გათვალისწინებულია იარაღის და სპეცსაშუალებების გამოყენების წესები?
10. მოცუნდრუკე-მოკუნტრუშე პოლიტიკოსებმა იციან თუ არა, როგორ ექცევიან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილეებს საზღვარგარეთის ქვეყნებში?
11. იმ რეალობაში, როცა მთავრობა და ხელისუფლება მადლობას უხდის შს მინისტრს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღკვეთისთვის, რამდენად რეალური, შესაძლებელი და მიზანშეწონილია მისი თანამდებობიდან გადაყენება-გადადგომის მოთხოვნა? ეს ხომ არ ჰგავს ახალგაზრდულ ჯიუტობას?

განა ძნელია იმის განსაზღვრა, რომ ეს არ მოხდება?

კითხვები უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, პასუხს კი ბრძენი ქართველი ხალხი მომავალ არჩევნებზე გასცემს, სადაც აშკარად გამოჩნდება მოცუნდრუკე-მოკუნტრუშე პოლიტიკოსებს უნდა ვანდოთ ქვეყნის მართვა თუ დაღვინებულ-დაბრძენებულ ადამიანებს.

წინ საინტერესო პოლიტიკური პროცესები გველოდება, საარჩევნო პარტიულ სიებში მრავლად იქნებიან ქალბატონები, რომლებიც, იმედია, თმებით არ გაჩეჩავენ ერთამანეთს. დღევანდელი საკანონდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ კურსი მატრიარქატისკენაა მიმართული, გვყავს ქალი პრეზიდენტი, პარლამენტის ქალი ვიცე სპიკერები, პარლამენტის კომიტეტის ქალი თავმჯდომარეები, ხუთი ქალი მინისტრი, ცესკოს ქალი თავმჯდომარე, ქალი სახალხო დამცველი და არ ვიცი რაოდენობა ქალბატონებისა, რომლებიც იკავებენ უმაღლესი თანამდებობის პირთა მოადგილეების სავარძლებს.

ქალის მშვიდობისმოყვარულ ღვთიურ ბუნებას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია ქვეყნის განვითარების გზაზე. წარმატება ვუსურვოთ მათ საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში.

ცოტაც დაველოდოთ და როგორც ამბობენ, აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავი, ვნახავთ, რომელი მოცუნდრუკე პოლიტიკოსი ვისთან მიკუნტრუშდება და დაუწყებს ერთი ადგილის ლოკვას, ერთგულების ფიცს მისცემს და მაშინვე ღალატისათვის მოემზადება.

რევაზ გრიგალაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32)

ძამა – ნასოფლარი ძამის ხეობაში, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება ბნელეთის ღელე და სათიბების წყალი. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტრიაზე.

მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები. არ გვხვდება ქართულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში.

1886 წლის აღწერით, აქ სახლობს 10 კომლი (77 კაცი და 61 ქალი, სულ 138 კაცი). მოსახლეობა, აღწერის მონაცემებით, მთლიანად ქართულია და გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, იმერეთიდან.

აქ სახლობდნენ გვარები: ლომიძე და ცხოვრებაშვილი.

ძამის მოსახლეობა XX ს-ის 50-იან წლებში გადმოასახლეს ხაშურში და სოფელი მოიშალა.

ძამაში მდებარეობს ხრესილის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანის ძეგლია.

ძელძვინა – იხ. ჩუმათელეთი.

ძლეური – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ იტრიასთან ახლოს. მდებარეობს სურამის სადაბო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ძლეურს არ იცნობს ქართული საისტორიო მწერლობა.

გადმოცემით, აქ სახლობდნენ გელაშვილები.

წაბლოვანა – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდ. ტილიანას აუზში. შედის ცოცხნარის სასოფლო საკრებულოში. ზ.დ. 800 მ. ხაშურიდან დაშორებულია – 13 კმ-ით. სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 8 კმ-ით.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს იცნობენ. ვახუშტის დატანილი აქვს რუკაზე, ხოლო იოანეს სურამისწყლის ხეობის აღწერისას აფიქსირებს მას მოსახლეობის გარეშე.

წაბლოვანა ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება „წაბლუანის“ ფორმით.

წაბლოვანა ბაგრატიონ – დავითიშვილების მამულია.

1615-1619 წლებით დათარიღებული წყალობის წიგნის მიხედვით, იმერეთის მეფე გიორგი წაბლოვანას აძლევს დავით ბოქაულთუხუცესს (დავითიშვილი): „...შემოგწირეთ და გიბოძეთ თქვენივე სამკვიდრო მამული, რაც მამათქვენსა და თქვენს ძმებს ჰქონებოდა და ან თქვენ გქონდეს, ან აზნაურიშვილი და ანუ ვაჭარი, ისრევ თქვენთვის გვიბოძებია... წაბლუანი“.

როსტომ მეფის 1634 წლის 23 ოქტომბრის სიგელიდან ირკვევა, რომ წაბლოვანაზე დავა აქვთ ზემოთ დასახელებულ დავით ბოქაულთუხუცესსა და მის ძმისწულს, რამაზ დავითიშვილს. „გამოიფიცა დავით და გამოიტანა ფიცითა... სოფელი წაბლოვანა“. ე. ი. წაბლოვანა კვლავ დავით ბოქაულთუხუცესის ხელშია.

როსტომ მეფის 1642 წლის სიგელიდან აშკარაა, რომ ერთი პერიოდი წაბლოვანა ამირეჯიბების ხელშია. შემდეგ კვლავ დავითიშვილებს უბრუნებენ.

დავითიშვილებსა და მათ განაყოფ რამაზიშვილებს შორის წაბლოვანაზე დავა დიდხანს გრძელდებოდა. 1715 წლის 27 თებერვლის განჩინებით, ქართლის მეფემ, იესემ განიხილა მათ შორის დავა და წაბლოვანა კვლავ დავითიშვილებს მიაკუთვნა.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით, აქ 10 კომლია (მახარებლიშვილი (2), ეკალაძე, შუმშითიძე, კერგილაშვილი, ნოზაძე, ჯვარელიძე, ტაბატაძე (2), პეტრიაშვილი).

წაბლოვანაში 1728 წელს ცხოვრობს 21 კომლი. მოსახლეობა იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 9870 ახჩის ოდენობით.

XVII–XVIII საუკუნეების ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთრების მიხედვით წაბლოვანაში საუფლისწულო მამულებიც არის. თითქმის იდენტურია რუისის სამწყსოსა და ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთრებში დაფიქსირებული გვარები. კომლთა რაოდენობა მერყეობს 17-დან 18-მდე. ამ აღწერებიდან ისიც ირკვევა, რომ წაბლოვანაში აყრილიც ბევრია (6 კომლი).

წაბლოვანიდან ლაშქარში 12 კაცი გადიოდა, სხვა დავთრის მიხედვით მხოლოდ 5 მოლაშქრე ჩანს.

1865 წელს წაბლოვანაში 6 კომლი სახელმწიფო გლეხი სახლობს.

1886 წლის აღწერით კი, აქ 16 კომლი მოსახლეა (70 კაცი და 61 ქალი, სულ 131 კაცი), მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია.

წაბლოვანაში სახლობენ გვარები: გელაშვილი, კაპანაძე, ნოზაძე, ფატარიძე, ჯაღიაშვილი...

სოფლის სახელწოდება – წაბლოვანა, მცენარის სახელისგან მომდინარეობს. იგი ნაწარმოებია „წაბლ“ ძირზე – ოვან სუფიქსის დართვით და ნიშნავს წაბლიან ადგილს.

მისი ხალხური ეტიმოლოგიაც, სწორედ, წაბლს უკავშირდება. გადმოცემით, თითქოს აქ ადრე წაბლნარი ყოფილა, რომელიც პირველ მოსახლეებს გაუკაფავთ, გაუშენებიათ სოფელი და მისთვის წაბლოვანა შეურქმევიათ სახელად.

წაბლოვანაში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც XIX ს-ით თარიღდება.

წაღვლი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთზე, მდ. ლოპანის წყლის (ფცის ფრონეს მარჯვენა შენაკადი) აუზში. სასოფლო საკრებულოს ცენტრი (წაღვლი, ზემო და ქვემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, მურყნისწყარო, ჩორჩანა, ყობი, წეღვერი). ზ.დ. 880 მ. ხაშურიდან დაშორებულია 30 კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 19 კმ-ით.

წაღვლი ხაშურის რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. ამაზე მეტყველებს ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლითაც ასე მდიდარია იგი. აქ დაახლოებით 40-ზე მეტი ასეთი ძეგლია, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე შესწავლილია მიქელაანთ ვერხვების სამაროვანი (ძვ. წ-აღ-ის XVI–XIV სს) და საციხურის გორა - ნამოსახლარი (ძვ. წ-აღ-ის III–II ათასწლეულის მიჯნა).

წაღვლს იცნობს ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერაში“ აფიქსირებს „წაღვლის წყალს“, იოანე ბატონიშვილიც აფიქსირებს წაღვლს, თუმცა, მოსახლეობის გარეშე.

წაღვლი ხშირად გვხვდება ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოიხსენიებს წაღვლისთავს. XI ს-ის 90-იან წლებში შიდა ქართლიდან თურქ-სელჩუკების განსადევნად მეფე დავით IV აღმაშენებელმა აქ გაიჩინა სადგომი - პლაცდარმი „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღვლის–თავი“. წაღვლში ადგილ „გალავნებში“ შემორჩენილია ამ პერიოდის ციხე-დარბაზის ნაშთები, რომელსაც მოსახლეობა დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს.

ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც: „...სადგური იყო მეფისა წაღვლის თავს“.

წაღვლი XV ს-ის დასაწყისში ამირეჯიბების მამულია. ქუცნა ამირეჯიბი მას ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიას სწირავს. „შევსწირეთ წაღვლი, ნამზითვი და ნასყიდი მხეიძეებისაგან“ – ნათქვამია სიგელში. სხვაგან ნათქვამია, რომ ქუცნამ ულუმბის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა „წაღვლი სრულიად“. როგორც ირკვევა ამირეჯიბებამდე წაღვლს მხეიძეები ფლობდნენ.

ალექსანდრე დიდის (1412-1442) სიგელის მიხედვით, ულუმბის მონასტრის სასარგებლოდ „წაღულისს მართებს გუთანი ხატისა, რომ იმუშაონ. აღაშვილს თორმეტი კოდი პური და ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. მეცხორიძეს თორმეტი კოდი პური და ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ბალუმაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო, ორი ზურგიელი. სეფნიაშვილს თორმეტი კოდი პური, სამოცი კოკა ღვინო, ერთი ზურგიელი. მიქელაშვილს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ნავაძეს თორმეტი კოდი პური, ოთხმოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ულუმბეგისშვილს თორმეტი კოდი პური, ოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. ნავაძეს თორმეტი კოდი პური, ოცი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი. გენდობასშვილს ხუთი კოდი პური, ათი კოკა ღვინო. კუიჟინაძეს თექვსმეტი კოკა ღვინო და ერთი ზურგიელი. კენჭაშვილს ათი კოკა ღვინო. გოგიშვილს თორმეტი კოდი პური, ათი კოკა ღვინო და ერთი ზურგიელი. მამულზედ თვითო ჩარექი ერბო და ათ-ათი კვერცხი“.

წაღვლი, როგორც ნიკოლოზ კათალიკოსის სვეტიცხოვლისადმი 1687 წლის შეწირულობის წიგნიდან ირკვევა, სვეტიცხოვლის სამწყსოში შედის: „კიდევ ახლად ჩუენ შევმატეთ სამწყსოდ სვეტიცხოველსა, სოფელი წაღვლი...“

შემდგომ პერიოდში, XVIII ს-ში, ჩანს, რომ წაღვლი ამირეჯიბების ხელშია.

1728 წელს წაღვლიდან თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში 128 კომლია დაფიქსირებული, რომელიც იხდის ყველა საოსმალო გადასახადს 37870 ახჩის ოდენობით. აქვე დასახლებულია თავადის წოდების ორი კომლი. წაღვლში ამ დროს ყოფილა 1 თვალი წისქვილი, რომელიც „გავერანებულია“.

XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან წაღვლი არაერთხელ გამხდარა ლეკთა თავდასხმის ობიექტი. ამაზე მეტყველებს მისი ტოპონიმიკა და გადმოცემები, რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია აქ.

1865 წელს წაღვლში 42 კომლი გლეხია (3 სახელმწიფო, 30 საეკლესიო და 9 დროებით ვალდებული). 1886 წელს წაღვლის მოსახლეობა უკვე ორჯერ მეტია. აღწერით, აქ უკვე 97 კომლია (405 კაცი და 327 ქალი, სულ 732 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია, მხოლოდ ერთი კომლია ოსური წარმოშობისა.

წაღვლში გვხვდება გვარები: აბულაძე, აღაშვილი, გელაშვილი (განშტოება: თამარაანთი), ებლანდაშვილი, კაპანაძე, (განშტოებები: არუქშიაანთი, კაციაანთი, კაკუაანთი, კოკოაანთი, კრიჭინაანთი, მამუკაანთი, მკითხავაანთი, პატივიანთი, ქიტესიაანთი), კილაძე (განშტოებანი: გოგლაანთი, დათუაანთი, სოლოდიანთი), ლომოძე (განშტოებები: ბეტაანთი, ვანიაანთი, ზაქაანთი, თედორაანთი, მექვაბიაანთი, მჭედლიაანთი, პეტრიკაანთი, პუშკაანთი, სიკუაანთი, ცაკოაანთი, ცარციულიაანთი, ჭაულიაანთი, ხარაულიაანთი, ჯაბუშაურიაანთი), მაჭარაშვილი (განშტოებები: დაბიაანთი, მაჭარაანთი), მიქელაშვილი, მოდებაძე (განშტოება: თომაანთი), პაპიძე, შაურშაძე, შეყელაშვილი, შუბითიძე, ჩანდიშვილი, ცუცქირიძე...

წაღვლი მდიდარია არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლებით. აქ არის არაერთი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომლებიც თარიღდებიან შუა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით.

მკვლევარი გ. ბედოშვილი ტოპონიმ წაღვერზე საუბრის დროს წერს: დაბა წაღვერი გაშენებულია მდ. გუჯარეთისწლის ნაპირებზე. ვახუშტი ბატონიშვილი სადგრის (სადგერის) ხეობის სოფლებს შორის ასახელებს წაღველს, მაგრამ მის მიერ მოტანილი ჰიდრონიმი (მდინარის სახელი) **წაღვლის-წყალი** ამჟამინდელი ქარელის რაიონის ტერიტორის გულისხმობს: „აბანოს ერთვის ამ წყალს (ივარაუდება ბრეძის-წყალი, გ.ბ.) **წაღვლის-წყალი**, და ბრეძას მოერთვის აბანოს-წყალი“. იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ წაღველის ნაცვლად დადასტურებულია წაღვი, რაც მათ შორის ერთგვარ ისტორიულ კავშირს გვავარაუდებინებს. კერძოდ, ხომ არა არის ვახუშტისეული **წაღველ** ადამიანის სადაურობის მიმანიშნებელი სახელი, ისევე, როგორიცაა: რველი, დისველი და სხვ. **წაღვ-ელ-ი** - „წაღვლიდან საცხოვრებლად გადმოსულ კომლთა ახალი სამოსახლო“. „წაღვლ-ელ-თა სოფელი“? როგორც ჩანს, მოგვიანებით მომხდარა ამ - **ელ** სუფიქსის - **ურ** სუფიქსად ცვლა (შდრ. ვახუშტის დროინდელი **ბაკულიანი** და დღევანდელი **ბაკურიანი**), მაშასადამე, **წაღვერი** (წაღვლ-ელ-ი) - ადამიანის სადაურობის მიმანიშნებელ ტოპონიმად უნდა ვცნოთ. ისიც უთუოდ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტია, რომ ხაშურის რაიონში არის სოფელი წეღვერი (წაღვლის სასოფლო საბჭოს ტერიტორია). ეს გარემოება კიდევ უფრო გვიმტკიცებს რწმენას **წაღვერისა** და **წაღვლ-**, **წეღვერის** ურთიერთკავშირს თაობაზე. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სრულიად საწინააღმდეგო ვარაუდი, რომლის მიხედვითაც წაღვლი „იქითა ველად“, „**წიაღ-ველად**“ ანუ „გაღმამხარეს მდებარე ველად“ გაიაზრება (ი. მაისურაძე, გაზ. „ბორჯომი“, 1968, 25. VII). თუმცა აშკარა, რომ ვ თანხმოვანი **წაღვ(-ლ)** ფუძის კუთვნილება და არა სითყვა „ველის“ - თავკიდურა თანხმოვანი. ამის მიუხედავად ეს თვალსაზრისი სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ გაზიარებულია: მართლაც, ასეთია ძველი **წაღვრის** მდებარეობა აწინდელ **წაღვერათან** მიმართებითო (კრებ. „გუჯარეთი“, თბ. 1987 გვ, 56).

მკვლევარის ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის - წაღვლისა და წეღვერის მიმართ.

წაღვლი ცნობილია სამონეტო განძებითაც. 1962 წლის ზაფხულში, წაღვლში, ხვნის დროს, გუთანმა ამოაგდო სანიმუშო ჭედურობის პატარა ქვაბი, რომელშიც აღმოჩნდა XVII-XVIII ს-ის სპილენძის ქართული მონეტები, სულ 25 ცალი. ამ პერიოდის მონეტების აღმოჩენა განძის სახით პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. განძში ერთი მონეტა ვახტანგ VI - ის დროს არის მოჭრილი (1708 -1709), შვიდი მონეტა სვიმონ მეფის დროს (1712 – 1713), 12 - ბაქარ მეფის დროს (1717 – 1718 ან 1718 -1719). ერთი მონეტა („თბილისური უსახელო“) თარიღდება 1700 – 1701 წლებით. 4 მონეტის მიკუთნება განძის მიმართ გარკვეულ ეჭვს ბადებს. განძი ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობს მუზეუმში.

წაღვლში შემორჩენილია ბარბაციკარის, ჩოჩქოლიკარის ეკლესიების ნანგრევები, სამების წმ. გიორგის ეკლესია (XVI–XVII სს.), ციხე-დარბაზის ნაშთები და სხვა.

წეღვერი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდ. ლოპანის წყლის (ფცის ფრონეს მარჯვენა შენაკადი) აუზში. ზ.დ. 850 მ. ხაშურიდან დაშორებულია 29 კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 18 კმ-ით. შედის წაღვლის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ თუ ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებში გვხვდება.

აქ სახლობენ გვარები: ბარბაქაძე, ბუღაძე, გაფრინდაშვილი, გოგატიშვილი, მაჭარაშვილი, რიკაძე...

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

100 წელი დუმაცხოველი გმირის, გიორგი პაპუაშვილის დაბადებიდან

გმირის სახელი არასოდეს ქრება. დროის სრბოლა ახლოსაც ვერ ეკარება მის სახელს და ერის გონებაში მკვიდრად ჩაბეჭდილი მუდამ სამზეოზეა.

მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანი შეიწირა. ფაშიზმის რუხმა სიკვდილის მანქანამ მთელ ევროპას გადაუარა და ბუნებრივია, გამონაკლისი არც ჩვენი სამშობლო ყოფილა. ათასობით ვაჟკაცი დაეცა ბრძოლის ველზე, ათასობით ღიმილის ბიჭის სისხლი დასჭირდა ფაშიზმის შეჩერებას. მათ შორის, სამწუხაროდ, უამრავი უსახელოდ ჩარჩა უცხო მიწაზე, თუმცა არც ისეთები იყვნენ ცოტა, რომელთა გმირობა მაგალითად იქცა თაობებისთვის. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ გიორგი პაპუაშვილი, დუმაცხოველი გმირი, რომელსაც წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ჩვენს შორის ვართ იმ აზრისგან, რომ მეორე მსოფლიო ომში მებრძოლი ქართველი ვაჟკაცები უცხო ქვეყნისათვის იბრძოდნენ. კი, ისინი იმპერიალისტი რუსეთის არმიაში იყვნენ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს რომ მათ უკან სამშობლო – საქართველო არ იყო. სწორედ საქართველოსთვის გულანთებული შეეწირენ ისინი მტერს.

გიორგი პაპუაშვილი იმ წელს დაიბადა, როდესაც საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოდ გამოცხადდა, თუმცა სულ რაღაც ორ წელიწადში – 1921 წელს იგი რუსეთმა დაიპყრო და წითელი დიქტატურა დაამყარა. 1928 წელს გიორგი სწავლას იწყებს დუმაცხოვის დაწყებით სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1932 წელს და სწავლა ალის შვიდწლიან სკოლაში განაგრძო. 1939 წელს სკოლა ათწლიანი გახდა და მეათე კლასელი გიორგი მოხალისედ მიდის სსრკ-ფინეთის ომში. 1941 წელს იგი მშობლიურ სოფელში ბრუნდება, თუმცა, იმავე წელს მას სამამულო ომში იწვევენ. ერთი წლის შემდეგ, მძიმედ დაჭრილი, გორის ჰოსპიტალში განიკურნა და კვლავ ფრონტზე დაბრუნდა. სიმამაცისათვის მრავალი ჯილდო მიიღო. 1944 წელს, 4 დეკემბერს კი, უნგრეთში, დუნაის გადალახვისას დაიღუპა. სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით, 311-ე გვარდიული პოლკის ასეულის მეთაურს გიორგი პაპუაშვილს, სიკვდილის შემდეგ, მიენიჭა საბჭოთა კავ-

შირის გმირის წოდება. მშობლებს -ნადია და იასონ პაპუაშვილებს დაენიშნათ პერსონალური პენსია.

ჭერათხევის ხეობაში, გომი-საჩხერის მაგისტრალზე, დგას ბიუსტი, რომელიც გმირის უკვდავსაყოფად გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიდგა.

სამწუხაროდ, ბიუსტის მიმდებარე ტერიტორია, რბილად რომ ვთქვათ, შორსაა სასურველ მდგომარეობამდე. არადა, გმირი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში აღიზარდა და რომლის სახელი მაშინ მილიონობით ადამიანმა გაიგო, ნამდვილად იმსახურებს, რომ მისი სახელობის მემორიალი უკეთესად იყოს მოვლილი, რადგან ასეთი გმირების მაგალითი ყველა თაობას სჭირდება, რომ სამშობლოს სიყვარული უფრო მეტად დაილექოს მათ გონებაში.

ხაშურის №2 და ქვიშხეთის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

საჯარო სკოლებში მიმდინარე პროცესებს ადგილზე ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. ხაშურის №2 საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ამ ეტაპზე ეწყობა იატაკი. მათი განმარტებით, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ქვიშხეთის საჯარო სკოლას, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სველი წერტილების მოწყობა მიმდინარეობს. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას.

<u>– სპეციალისტი გვირჩევს –</u>

ზაფხულის ბოლო თვის სამუშაოები სოფლად

უქმად მყოფი მიწათმოქმედი აბა როდის და სად დაგინახავთ.

აგვისტოს თვე კარგი პერიოდია ხეხილოვანი მცენარეების კვირტით მყნობისათვის

პირველ რიგში, უნდა დაიმყნოს კურკოვანი კულტურები, შემდეგ კი - თესლოვანი

ყურძენმა დამწიფება დაიწყო.

წაღვლელები მალე შავ პინოს დაკრეფენ, ერთი თვე და რთველი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც დაიწყება

გავასუფთავოთ მარანი, ეზოში გამოვზიდოთ და კარგად გავრეცხოთ საღვინე კასრები, განსაკუთრებით კარგად მოვუაროთ ქვევრებს.

საწნახელის მომზადება არ დაგვავიწყდეს და ყურძნის კრეფისათვის საჭირო ინვენტარიც მოვიმარაგოთ.

ამასთან, ვენახში ახლაც შეიძლება მწკრივების გათოხნა და მიწის გაფხვიერება, მულჩად დავტოვოთ სარეველა ბალახები, ამით ნიადაგში ტენსაც შევინარჩუნებთ და ბალახის ფენა შემდგომში ორგანულ სასუქად გადაიქცევა

ისე, ჯიჯლაყას და ნაცარქათამას, ძურწას, სხვა სარეველა ბალახებს შინაური კურდღლებიც კარგად მიირთმევენ.

არ დავიზაროთ და ზაფხულის მშრალი ამინდები მეცხოველეობის საკვების დასაბინავებლად გამოვიყენოთ.

გვალვის გამო, ნაწვერალი უმეტესად დასამუშავებელი დარჩა.

იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა, გამოგვალულ ნაკვეთებში მდინარე მტკვრიდან, ტაშისკრის არხიდან და სხვა წყალსატევებიდან მივუშვათ სარწყავი წყალი

გაითვალისწინეთ, რომ 1 ჰექტარზე 500 კუბური მეტრი წყლის მოღვარვაა საჭირო, ნიადაგი სახნავი ფენის სიღრმეზე რომ დატენიანდეს

ხვნის ჩატარება ყოველთვის არ შეიძლება.

მიწა იხვნება მაშინ, როცა ის „მწიფეა“.

ხვნისწინა სიმწიფის დროს ნიადაგში ტენი 50-60%-ი მაინც უნდა აღწევდეს.

ხვნისწინა სიმწიფე პრიმიტიულად ასე შეიძლება განვსაზღვროთ - ბარით ბელტს ამოვბარავთ, ნიადაგს ავიღებთ ხელით, მოვსრესთ და მიწაზე დავანარცხებთ.

თუ ნიადაგი ადვილად დაიშალა, მაშინ შეიძლება ხვნის ჩატარება.

თუ ნიადაგი იზილება, ე. ი. ჭარბტენიანია და თუ არ დაიშალა, გამოგვალული ყოფილა - მოხვნა დაუშვებელია.

ესეც დავიმახსოვროთ - ხვნის სიღრმე 20 – 22 სმ მაინც უნდა იყოს!

სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ ადგილებში იონჯის და სხვა მრავალწლოვანი ბალახების დათესვა უმჯობესია აგვისტოს მეორე ნახევრიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

უსაფაროდ დათესილი და თანმიყოლებულად მორწყული ბალახები შემოდგომისთანავე ღონივრად ვითარდება და სარგებლობის პირველსავე წელს სრულ მოსავალს იძლევა

გააგრძელეთ მინდვრად ნაკელის გაზიდვა, კომპოსტის დამზადება.

ცარიელ საბოსტნე და სხვა ნაკვეთებში თანაბრად გაშალეთ გადამწვარი ნაკელი, ჩაბარეთ ან ჩააკეთეთ ნიადაგში სხვადასხვა საშუალებებით.

ასე განოყიერებული ფართობიდან უხვი მოსავლის მიღება გარანტირებული იქნება

მოამზადეთ სათესლე ხორბალი.

უკვე ხახვიც ამოღებულია, იკრიფება კიტრი, მწიფს პომიდორი და კარტოფილსაც ჩაუხმა ფოჩი.

ეცადეთ, კარგი ხარისხის, ჯანსაღი პროდუქცია გაიტანოთ ბაზარზე სარეალიზაციოდ,

მყიდველიც ბევრი მოგაკითხავთ.

ზამთრისათვის დაამწნილეთ კიტრი, ყაბაყი და პატისონი.

კიდევ ერთხელ გადაიანგარიშეთ დანახარჯები, სწორად განსაზღვრეთ მოგების მომტანი ფასი.

ამ თვეში ფუტკრის მთავარი ღალიანობა დამთავრდა, გამოწურეთ და შეინახეთ თაფლი

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ აგრარული დარგის სამთავრობო პროგრამები და გაბედულად ჩაერთეთ ამ პროექტების განხორციელებაში

რჩევებისათვის მიმართეთ ხაშურის საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტებს.

ავთანდილ გოგალაძე,
ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს
ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის
წამყვანი სპეციალისტი

ხაშურის ცენტრი დღეს

ხაშურის „დურუ" გათამაშების ლიდერია

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობეთ, რომ მოყვარულ ფეხბურთელთა შორის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეგიდით, საქართველოს ჩემპიონატი ტარდება. ჩემპიონატში 300-მდე გუნდია ჩაბმული და ისინი რეგიონულ ქვე-ჯგუფშები იბრძვიან პირველობისთვის. ხაშურის „დურუ" შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ქვეჯგუფშია. გუნდი მართლაც ბრწყინვალედ ასპარეზობს და დღეისათვის ქულათა მაქსიმუმი აქვს დაგროვებული – 8 თამაში და 8 მოგება. პირველი წრის ბოლო თამაში უშუალო კონკურენტთან – ქარელის

,,ფრონეს-თან" გუნდს გუშინ ჰქონდა. სამწუხაროდ, გაზეთის ბეჭდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც ეს სტატია იწერებოდა მატჩის შედეგი ჩვენთვის უცნობი იყო. თუმცა, გვჯერა, საკუთარ კედლებში ჩვენი ბიჭები შეძლებდნენ კონკურენტის დამარცხებას(ამაზე გაზეთის შემდეგ ნომრებში).

მოყვარულთა თასი
მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონალური ეტაპი

		თ	მ	ფ	წ	გ-გ	+/-	ქ
1	დურუ	8	8	0	0	23-4	19	24
2	ფრონე	8	7	0	1	31-9	22	21
3	მეჯვრისხევი	8	7	0	1	28-10	18	21
4	მცხეთა	8	4	1	3	24-17	7	13
5	დუშეთი	8	3	1	4	18-16	2	10
6	გიგანტი	8	3	1	4	12-12	0	10
7	ჯვაროსნები	8	2	1	5	19-26	-7	7
8	ყაზბეგი	8	2	0	6	6-20	-14	6
9	გორგია	8	1	0	7	5-23	-18	3
10	გომი	8	1	0	7	10-39	-29	3

adjarasport.com GAFA GFF GFDF

დებულების მიხედვით, ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულებისათვის ერთთამაშიანი პლეი-ოფები დაიწყება. აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფებში გამარჯვებულები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, ჩემპიონი კი უეფას რეგიონთა თასზე მიიღებს მონაწილეობას, რომელიც, სავარაუდოდ, იტალიაში გაიმართება.

გუნდის ფინანსური მხარდამჭერი მუნიციპალიტეტის მერიაა. იმედია, ჩვენი გუნდი ისევე ღირსეულად გააგრძელებს ჩემპიონატს, როგორც დაიწყო და შემოდგომაზე პლეი-ოფებშიც არ შეირცხვენს თავს.

წარმატებები „დურუს"!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.